საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 6728/01
16/07/2020

6728-01-2-202007161400

შპს „ევორდ ფექტორის“ დირექტორს
ბატონ თორნიკე ჭკადუას
მის: *ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, მე-17 კმ.*

ბატონო თორნიკე,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 9 ივლისის N10497 განცხადება, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაკიეთის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

მიმდინარე წლის 2 ივნისს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე, სამინისტროს შენიშვნები გეცნობათ N5249/01 წერილით (09.06.2020). თუმცა, თქვენ მიერ მიმდინარე წლის 9 ივლისს წარმოდგენილი განცხადებით არ არის დაზუსტებული სამინისტროს N5249/01 წერილით გათვალისწინებული საკითხები. კერძოდ:

- ინფორმაცია სალექარის პარამეტრების და მისი ტექნიკური მახასიათებლების შესახებ;
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება. კერძოდ, განცხადების მიხედვით, ტერიტორიიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 200 მეტრში, მდ. რიონის კალაპოტის გასწვრივ განლაგებულია ინერტული მასალების მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოები. შესაბამისად, ატმოსფერულ ჰაერზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება შეფასებული უნდა იყოს ტერიტორიის მიმდებარედ არსებული საწარმოების გათვალისწინებით;
- ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული გზების და ტრანსპორტირებით გამოწვეული ზემოქმედების შესახებ (დღის განმავლობაში განსახორციელებელი სავარაუდო სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა);
- სკრინინგის განცხადებაში (გვ. 6) აღნიშნულია, რომ საწარმო გამოუშვებს წლიურად 62000 მ3 (460800 ტ) ინერტულ მასალას: ქვიშას 24800 მ3 (44640 ტ) და ღორღს 37200 მ3-ს (66960 ტ). შესაბამისად, ინერტული მასალის ჯამური რაოდენობა (ტონაში) საჭიროებს დაზუსტებას;
- განცხადების მიხედვით, საწარმოს გააჩნია ბეტონის ნაკეთობათა უბანი, რომელიც განთავსებულია მდ. რიონიდან 57-58 მეტრზე, წყალდაცვითი ზოლის გარეთ. გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის №440 დადგენილების (წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის

დამტკიცების თაობაზე) მოთხოვნების მიხედვით, **მდინარეების წყალდაცვითი ზოლის სიგანე აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან.** შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებული უნდა იყოს მანძილი, აღნიშნულის გათვალისწინებით. ამასთან, წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში გაურკვეველია ბეტონის ნაკეთობათა წარმოებისთვის განსაზღვრული ნაგებობა აშენებულია თუ დაგეგმილია მისი მშენებლობა. აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას.

წარმოდგენილი განცხადების მიხედვით, შპს „ევროდ ფექტორის“ დაგეგმილი აქვს ბეტონის ქარხნის მოწყობა და ინერტული მასალის გადამუშავება. გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 5.1 პუნქტის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება. შესაბამისად, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნულის გათვალისწინებით.

სამინისტრო აღნიშნულ საქმიანობაზე სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „ევორდ ფექტორი“ ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით უზრუნველყოფს განახლებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენას.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე